პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 19 (1033) | სამშაბათი, 12 თებერვალი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.

ნ. შამოვი პირველ ადგილზეა

მოსკოვში ლენინის მთებზე მოწყობილ ტრამპლინზე ჩატარდა ფინეთის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოთხილამურეთა შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველობისათვის ბრძოლა გააძნელა თბილმა ამინდმა და აგრეთვე ძლიერმა ქარმა. პირველი ცდის შემდეგ პირველი იყო საბჭოთა მოთხილამურე ქ. წაქაძე, რომელმაც მიიღო ყველაზე კარგი შეფასება. მაგრამ მან ვერ შეინარჩუნა მოპოვებული წარმატება, მეორე ხტომის დროს მიწაზე დაშვებისას წაიქცა და ამით საშუალება მისცა ნ. შამოვს პირველი ადგილი მოეპოვებინა.

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

მასობრივი მძლეოსნური კროსის შედეგები

გასული წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად ჩატარდა ახალგაზრდული მასობრივი მძლეოსნური კროსი მიძღვნილი საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ფესტივალისადმი.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამა მძლეოსნური კროსის შედეგები და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. როგორც ადგილებიდან წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, ახალგაზრდობის მასობრივი მძლეოსნური კროსის პირველი და მეორე ეტაპები ჩატარდა რესპუბლიკის 35 ქალაქსა და რაიონში. მიუხედავად იმისა, რომ კროსის ჩატარების პერიოდში რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ცუდი ამინდი იდგა, კროსში მონაწილეობა მიიღო 51 ათასზე მეტმა კომკავშირელმა და ახალგაზრდამ. ორგანიზებულად, ახალგაზრდათა ფართო მასების მონაწილეობით ჩატარდა შეჯიბრება ზუგდიდის, სიღნაღის, ჭიათურის, ცხაკაიას, თბილისის ლენინისა და სტალინის რაიონებში და ა. შ.

კროსის ჩატარებაში თავი ისახელეს მთელმა რიგმა პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და ფიზკულტურულმა კოლექტივებმა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აბაშის მეორე საშუალო სკოლის, ბათუმის მე-8 საშუალო სკოლის, სიღნაღის რაიონის დაბა წნორის საშუალო სკოლის, ცხაკაიას რაიონის სოფ. ზანის კოლმეურნეობის, ჭიათურის „მარგანტრესტის“ მთავარი მექანიკური სახელოსნოს, ლენტეხის რაიონის სოფ. ლეკოსანდრას და სხვა კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები.

კროსში მონაწილე ახალგაზრდათა მიერ ნაჩვენებ იქნა კარგი სპორტული შედეგები. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საპატიო სიგელებით დააჯილდოვა კროსის 95 მონაწილე, რომელთაც მაღალი სპორტული შედეგები აჩვენეს და ხელი შეუწყვეს კროსის ორგანიზებულად ჩატარებას.

ზოგიერთი კომკავშირული და ფიზკულტურული მუშაკის მიერ მასობრივ სპორტულ ღონისძიებათა შეუფასებლობით უნდა აღინიშნოს ის, რომ სოხუმში, სტალინირში, გორში, ქუთაისში, ბოლნისში და სხვაგან არ ჩატარებულა ახალგაზრდობის მასობრივი მძლეოსნური კროსი.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასობრივ სპორტულ ღონისძიებათა ჩატარებას, პრაქტიკაში დანერგონ მასობრივი კროსები, ხელი შეუწყონ ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებას და ახალი მიღწევების სპორტსმენების გამოვლენას.

თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმში მოთავსებულ საარჩევნო უბანში მუშაობა სჩქეფს, აგიტატორები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მოსახლეობაში, გამოდის კედლის გაზეთი. სურათზე: საარჩევნო უბანში.

საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად

ჩვენს ქვეყანაში კალათბურთის 50 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა დააჯილდოვა სპორტსმენების, მწვრთნელებისა და მსაჯების დიდი ჯგუფი.

მაღალი სპორტული მაჩვენებლებისათვის და საზოგადოებრივ სპორტულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, რიგის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდის კალათბურთელს მ. ვალდმანისს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

კვალიფიციური სპორტსმენების მომზადებისათვის და ნორჩ კალათბურთელთა აღზრდის საქმეში მოპოვებული წარმატებისათვის სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის სახელი მიენიჭათ: ვ. ვარიაკოისს, ა. კრაუკლისს (ლატვია), ვ. გოროხოვს, ვ. გრიგორიევს, ა. ზინინს, კ. ტრავინს, ს. ხაიმოვს, პ. ცეტლინს (ყველა მოსკოვიდან), ლ. ძეკონსკის, შ. დიასამიძეს (ორივე საქართველოდან), ვ. კულაკაუსკასს (ლიტვა), ი. ლისოვს, ა. ნაარიტს (ორივე ესტონეთიდან), ა. ნოვოჟილოვს, ვ. რაზჟივინს (ორივე ლენინგრადიდან).

საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ ა. ბელოვს, ნ. დიადეჩკინს (ორივე უკრაინიდან), ვ. ერემეევს (სვერდლოვსკი), რ. მიხალევიჩს (ლენინგრადი), გ. შჩერბაკს (ტულა).

მსაჯის საპატიო ნიშნით დააჯილდოვნენ მ. ბელიაევი (უკრაინა), ა. ზინინი ნ. სემაშკო, ი. ხრომოვი (ყველა მოსკოვიდან), გ. კოლიკოვი, ი. მეშჩერიაგინი (ორივე ლენინგრადიდან), ლ. ფალავანდიშვილი (საქართველო).

„საბჭოთა სპორტი“ № 1

დოკუმენტალური ფილმების ცენტრალურმა სტუდიამ გამოუშვა კინოჟურნალის „საბჭოთა სპორტის“ პირველი ნომერი, რომელიც მთლიანად მიეძღვნა XVI ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულ საბჭოთა სპორტსმენებს.

კინოჟურნალი იწყება კადრებით, რომელიც გადაღებულია კრემლის დიდ დარბაზში. კინოოპერატორები გვაცნობენ საზეიმო მეჯლისის მონაწილეებს. ჩვენ ვხედავთ ოლიმპიადის გმირს ვლადიმერ კუცს, ემილ ზატოპეკთან ერთად. შემდეგ კადრებს გადავყევართ შორეულ მელბურნში, სადაც, ეს ეს არის დაიწყო ათი ათას მეტრზე რბენაში შეჯიბრება.

მეჯლისზე არის აგრეთვე ლატვიელი სპორტსმენი ქალი ინესა იაუნზემე. პატარა ეპიზოდი გვიჩვენებს ამ შესანიშნავი სპორტსმენის გამოსვლას ლატვიის სპარტაკიადაზე. შემდეგ თანდათანობით ნაჩვენები არიან ოლიმპიური თამაშების სხვა პრიზიორებიც.

კინოჟურნალის უკანასკნელ კადრებში აღბეჭდილია სპორტსმენების დაუვიწყარი შეხვედრა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან — ამხანაგებთან ნ. ა. ბულგანინთან, ნ. ს. ხრუშჩოვთან, ა. ი. მიქოიანთან და ჩინეთის მთავრობის დელეგაციის წევრებთან, რომლის ხელმძღვანელი იყო ამხანაგი ჯოუ ენ ლაი.

ზეიმი სპორტის სასახლეში

მოსკოვში სპორტის სასახლეში სტუდენტთა ზამთრის არდადეგების უკანასკნელ დღეს დიდი ზეიმი გაიმართა.

სტუდენტ ახალგაზრდობას მისალმებით მიმართა მოსკოვის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პუშნოვმა. საღამოს ესწრებოდნენ XVI ოლიმპიური თამაშის მონაწილენი და გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ა. აჯუბეი, სპორტული პრესის საკავშირო სექციის პასუხისმგებელი მდივანი ა. კულეშოვი, ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. გულიაევი და წყალბურთში საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის მეკარე სპორტის ოსტატი მ. რიჟაკი. მათ დამსწრეთ გაუზიარეს მელბურნში მიღებული შთაბეჭდილებანი.

რესპუბლიკის სკოლებში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის

ჩვენი რესპუბლიკის ბევრ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე დგას ფიზიკური აღზრდის საქმე. კლასგარეშე მუშაობას, მოსწავლეთა დაოსტატებას დიდი ყურადღება ექცევა. მაგრამ ყველა სკოლაში ასე როდია, ზოგიერთი ქალაქისა და განსაკუთრებით, რაიონების სკოლებში ეს სასარგებლო და კეთილშობილური საქმიანობა თვითდინებაზეა მიშვებული. ამიტომ საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა ჩაატაროს განათლების სამინისტროს სკოლებში სპორტული ბაზებისა და მასობრივი სპორტული მუშაობის დათვალიერება-კონკურსი.

დათვალიერება-კონკურსი მიმდინარე წლის ნოემბრამდე გასტანს, მისი მიზანია გააუმჯობესოს რესპუბლიკის საშუალო და შვიდწლიან სკოლებში სპორტული ბაზების მშენებლობა, მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაში სასწავლო და კლასგარეშე მუშაობის გაუმჯობესების საქმე. მან ორგანიზაციულად უნდა განამტკიცოს სასკოლო ფიზკულტურული კოლექტივი, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა თვითმოქმედებას და სხვ.

დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები. საშუალო სკოლებისათვის განკუთვნილია 9 პრემია. მათ შორის 3 პრემია თვითეული 3000 მანეთის რაოდენობით, 3 პრემია თვითეული 2000 მანეთისა და 3 პრემია თვითეული 1000 მანეთის რაოდენობით. შვიდწლიანი სკოლებისათვის დაწესებულია თერთმეტი პრემია, აქედან 8 პრემია თვითეული 1500 მანეთის რაოდენობით, 3 პრემია თვითეული 1000 მანეთის და 5 პრემია თვითეული 500 მანეთის რაოდენობით. დაწესებულია აგრეთვე 40 ფულადი პრემია კომკავშირული და ფიზკულტურული აქტივისათვის, მასწავლებლებისათვის, სკოლების დირექტორებისათვის, რომლებიც თავს ისახელებენ დათვალიერება-კონკურსის მაღალ დონეზე და ხარისხიანად ჩატარებაში.

ვინ იქნება გამარჯვებული დათვალიერება-კონკურსში? ვის მიენიჭება ზემოაღნიშნული პრემიები?

საშუალო სკოლებში დათვალიერებაში გამარჯვებული გამოვა ის სკოლა, რომელიც:ააშენებს და მოაწყობს კომპლექსურ სპორტულ მოედანს (კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებს, სარბენ ბილიკს, მძლეოსნურ სექციებს, ტანვარჯიშულ ქალაქს). დაამზადებს მარტივი სახის სპორტულ ინვენტარს, როგორიცაა მაგალითად, ხელყუმბარები, სახტომი დგამები, ღერძი, ორძელი და ა. შ. აგრეთვე მიაღწევს მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობით ჩაბმას სპორტულ მუშაობაში, რეგულარულად ჩაატარებს შეჯიბრებებს, მიაღწევს X-XI კლასის ყველა მოსწავლეთა მიერ მშთ I საფეხურის ნორმატივების ჩაბარებას.

შვიდწლიან სკოლებიდან დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებული გამოვა ის სკოლა, რომელიც: ააშენებს და მოაწყობს მარტივი სახის ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებს, 60-მეტრიან სარბენ ბილიკს, სიმაღლეზე და სიგრძეზე სახტომ ორმოს. დაამზადებს უბრალო სპორტულ ინვენტარს მოედნებისათვის, როგორიცაა მაგალითად: დგარები, ესტაფეტის ჯოხები, ტანვარჯიშული კედელი, ღერძი და სხვა. აგრეთვე მიაღწევს მოსწავლეთა დიდი უმრავლესობის ჩაბმას ფიზკულტურულ სექციებსა და გუნდებში, მიაღწევს 7 კლასის ყველა მოსწავლის მიერ მშთ ნორმატივების ჩაბარებას.

როგორც დავინახეთ დათვალიერება-კონკურსის პირობები არც თუ ადვილია, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პირობების შესრულება რესპუბლიკის თითქმის ყველა საშუალო და შვიდწლიან სკოლას შეუძლია. საჭიროა მხოლოდ დროულად და ენერგიულად მოვკიდოთ საქმეს ხელი.

კონკურს-დათვალიერების შედეგების შეჯამება მოხდება მიმდინარე წლის დეკემბერში. დრო საკმაოა იმისათვის, რომ ამ მეტად კარგი ღონისძიებისათვის აქედანვე გავშალოთ მოსამზადებელი მუშაობა. რესპუბლიკის კომკავშირულმა და განათლების ორგანოებმა დროულად უნდა გააცნონ მოსწავლეებს და პედაგოგიურ კოლექტივს დათვალიერება-კონკურსის პირობები, მიაწოდონ თვითეული სკოლის მიერ მისი შესრულებისათვის კონკრეტული გეგმების შედგენას და შესრულებას.

დათვალიერება-კონკურსის უკეთ ჩატარებისათვის მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნას მშობელთა კომიტეტები, სკოლების საშეფო ორგანიზაციები, სპორტული საზოგადოებანი, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, სოფლის ახალგაზრდობა.

დათვალიერება-კონკურსი მეტად სერიოზული ღონისძიებაა. მისი მაღალ დონეზე და ორგანიზებულად ჩატარება კიდევ უფრო გააუმჯობესებს მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, გამოავლენს ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებიც თამამად ჩადგებიან ჩვენი რესპუბლიკის მოწინავეთა რიგებში.

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

როგორც ცნობილია, მოსკოვში თებერვლის ბოლო რიცხვებში, დაიწყება მსოფლიო პირველობის გათამაშება შაიბიან ჰოკეიში. ეს ჩემპიონატი ამავე დროს ევროპის პირველობაც იქნება. მსოფლიოს უძლიერეს ჰოკეისტთა გუნდების ტურნირი დაიწყება 24 თებერვალს და იგი 5 მარტამდე გასტანს.

ამასთან დაკავშირებით, მოსკოვიდან კოპენჰაგენს მსოფლიო ჩემპიონატის მომწყობ დირექტორატის სხდომაზე დასასწრებლად გაფრინდნენ ჰოკეისტთა საერთაშორისო ფედერაციის ალმასკომის წევრი პ. კოროტკოვი და სექციის წევრები ი. ბაჟანოვი და დ. სმირნოვი. დირექტორატის სხდომამ უნდა დაამტკიცოს გათამაშების ვადები.

სურათზე: ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ინჟინერ-რაციონალიზატორი ა. ტოფაძე საწარმოს მოწინავე ფიზორგია.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.



ახალი ჩამოხტომი ორძელზე

შეჯიბრებებზე ხშირად ვხვდებით ოსტატთა მიერ შესრულებულ ახალ ელემენტებსა და ნაერთებს, რომლებიც უჩვეულოა როგორც თავისი ჩანაფიქრით, ისე შესრულებით.

ახალ ელემენტებს შეიძლება მიეკუთვნოს ფეხშლით უკუჩამოხტომი ქვედა ძელზე დგომბჯენიდან ზურგით მაღალი ძელისაკენ ნაირსიმაღლის ორძელზე. იგი ტანმოვარჯიშისაგან მოითხოვს მაღალ ტექნიკურ მომზადებას, სითამამეს, მოძრაობათა ჩინებულ კოორდინაციას, აგრეთვე მაღალ საერთო ფიზიკურ მომზადებას.

ამ ჩამოხტომის საწყის მდგომარეობას წარმოადგენს დგომი ქვედა ძელზე ზურგით ზედა ძელისაკენ მასზე ცალი ან ორივე ხელის ბჯენით. ხელების ბჯენი არ უნდა იყოს ძლიერი, ტანმოვარჯიშე მთლიანად გამართული ფეხის წვერებზე დგას და ოდნავ ებჯინება ძელს (ნახ. 1).

იმ მიზნით, რომ უკეთ შესრულდეს ნახტომი შემდგომში საჭიროა ორივე ხელის გატანა უკან, ქვედა ძელზე გაჩერება ხელების დაუბჯენლად და კორპუსის ოდნავ უკან გადატანა (ნახ. 2). ამის შემდეგ ხელების აქნევასთან ერთდროულად ოდნავ უნდა მოიღუნოს და შემდეგ გაიმართოს ფეხები ყველა სახსარში, შესრულდეს მკვეთრი არეკნი ზევით-უკან. ხელების აქნევი წინ-მაღლა გრძელდება.

მე-3-4 ნახატებზე კარგად ჩანს, თუ როგორ გამოიყენა ტანმოვარჯიშემ ძელების დრეკადობა და შეუხამა ფეხების არეკნი ღერძის ძელის აკვრას.

ჩამოხტომის შემდგომ ეტაპად უნდა ჩაითვალოს მენჯის კიდევ უფრო მკვეთრი აწევა ზევით-უკან (მხრების შედარებითი უმოძრაობისას) და ფეხშლა (ნახ. 5).

ტოვებს რა კორპუსს იგივე მდგომარეობაში, ტანმოვარჯიშემ კიდევ უფრო განივრად უნდა გაშალოს ფეხები. ამასთან მას უნდა მოვთხოვოთ არა ფეხების უბრალო გაშლა, არამედ მისი შეხამება უკან გადაქნევის მოძრაობასთან (ნახ. 6).

ყველა მოძრაობა, რომელიც ნაჩვენებია მე-6 ნახატამდე კიდში ფეხშლით უკან გადაქნევის მოძრაობათა ანალოგიურია, ეს ელემენტი კი იმდენად ფართოდაა გამოყენებული ჩვენს ტანმოვარჯიშეთა მიერ, რომ იგი შეიძლება ათვისებულად ჩაითვალოს. მაგრამ მე-6 ნახატიდან დაწყებული იწყება განსხვავებული მოძრაობები, რასაც უფრო დაწვრილებითი გარჩევა ჭირდება.

ამგვარად, უკუგადაქნევი შესრულებულია, მაგრამ შემდგომში საჭიროა შეჩერება იმ მდგომარეობაში, რომელიც უზრუნველყოფს სწორ დახტომს. ამისათვის საჭიროა მხრებისა და ხელების აწევა, წელის გამაგრება და ფეხების გატანა უკან-ძირს (ნახ. 7), შემდეგ კი გამართვა და მთლიანი გაზნექვა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩამოხტომის წარმატებით შესრულებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ხელების მდგომარეობას. მათი აქნევი უნდა მოხდეს უარამდე წინ-მაღლა და შემდგომში შენარჩუნებულ იქნას ამ მდგომარეობაში. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ფეხების

მუშაობას: საჭიროა არა მარტო
თი უბრალოდ გაშლა, არამედ
ვალდებულოა გადაქნევის მოძრა
ბათა შესრულება ისე, რომ ის
ყოველთვის დაძაბული იყოს.

ჩამოხტომის შესრულების პრ
ცესში ტანმოვარჯიშეს უპირველ
სად ყოვლისა უნდა შევასწავლ
კიდში ფეხშლით უკუგადაქნე
რაც მას სრულ წარმოდგენას მ
ცემს ფეხების მუშაობის შესახ
შესასწავლი ელემენტის პირველ ნ
ხევარში, ხოლო შემდგომში, რო
გადაქნევი კიდში ათვისებულ
ბა, შეიძლება ჩამოხტომის შემდგ
მი სტადიების შესწავლაზე გადას
ლა.

თავდაპირველად მწვრთნელმა უ
რალო დაზღვევა კი არ უნდა უზ
რუნველყოს, არამედ შეაჩერ
ტანმოვარჯიშე კიდში ხელების გ
შვებამდე. ტანმოვარჯიშე თანდათ
ასუსტებს დატაცს და მწვრთნელ
დავალებით ჩავლებას კი არ ასრუ
ლებს ძელზე, არამედ ოდნავ ეხებ
მას და მაშინვე მაღლა სწევს ხე
ლებს. ამის შემდეგ შეიძლება ნახ
ტომის შესრულებაზე გადასვლა.

ჩამოხტომის შესწავლისას საჭი
როა დაზღვევის ყველა წესის დაც
ვა, რათა თავიდან ავიცილოთ ტრავ
მა. ლეიბებით უნდა დაიფაროს, რო-
გორც იატაკი, ისე თვით ორძელი
ქვედა ნაწილიც. მწვრთნელი ად-
გილს იკავებს ზემო ძელს უკან და-
ახლოებით ერთი ნაბიჯის დაცილე-
ბით ტანმოვარჯიშისაგან, ოდნავ
გვერდზე.

ი. ოგანოვი.
სპორტის ოსტატი.

ნიგნი ფიზიკური აღზრდის საკითხებზე

საქართველოს სსრ სამედიცინო გამომცემლობამ გამოსცა პროფესორ გ. მღებრიშვილისა და დოცენტ ა. ზოიძის წიგნი „საექიმო ფიზიკური კულტურა". ეს ნაშრომი, რომელიც გათვალისწინებულია, როგორც სახელმძღვანელო სტუდენტებისა და ექიმებისათვის, მიზნად ისახავს მისცეს სტუდენტებს საექიმო კონტროლის და სამკურნალო ფიზიკური კულტურის დარგში საჭირო და აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

სარეცენზიო წიგნში განხილულია სპორტის მრავალი სახეობა, მოცემულია საინტერესო ცნობები საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის სტრუქტურის, მისი როლისა და მნიშვნელობის შესახებ. ვრცლად არის დახასიათებული სპორტული, მხატვრული და სამკურნალო ტანვარჯიში. დაწვრილებით არის ახსნილი სპორტსმენის წვრთნის, გადაღლის ფიზიოლოგიური პროცესები. საექიმო ფიზიკური კულტურა მეცნიერების ახალი დარგია, მიუხედავად ამისა, ავტორებს სახელმძღვანელოში თავი მოუყრიათ მდიდარი მასალისათვის კლინიკური და თეორიული მედიცინის სხვადასხვა დარგიდან. წიგნში ახსნილია ფიზიკური კულტურის ბუნებრივი ფაქტორები — მზის, წყლისა და ჰაერის როლი ორგანიზმის გაჯანსაღების საქმეში.

იმისათვის, რომ სწორი მიმართულება მიეცეს ფიზიკური აღზრდის გამაჯანსაღებელ როლს, საჭიროა ფიზიკური ვარჯიშის დროს გათვალისწინებულ იქნეს მომეცადინეთა ასაკი, სქესი, ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამ მიზნით ჩვენში ფიზიკური მოვარჯიშის ჯანმრთელობის მიმართ და იმ გარემოს მიმართ, რომელშიაც მას ვარჯიში უხდება, დაწესებულია საექიმო და პედაგოგიური კონტროლი. ფიზკულტურა, როგორც პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალება, სულ უფრო ფართო გამოყენებას პოულობს სამედიცინო პროფილაქტიკაში. ყველა ტიპის სკოლის სასწავლო პროგრამაში ფიზკულტურა შეტანილია როგორც სავალდებულო საგანი, იგი ფართოდაა გამოყენებული საბჭოთა არმიაში, ფლოტში, პიონერთა ბანაკებში და სხვ. ავტორები მკითხველებს მოუთხრობენ იმ დახმარებაზე, რომელსაც მედიცინა უწევს ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს ჯანსაღი თაობის აღზრდაში.

წიგნში გაშუქებულია სპორტული მედიცინის ამოცანები, რომლის მთავარ მიზანს შეადგენს შეისწავლოს ჯანმრთელი ადამიანი, დაამუშაოს და მეცნიერულად დაასაბუთოს ფიზიკური აღზრდის მთელი რიგი საკითხები ისე, რომ ფიზკულტურულ მოძრაობაში ჩაბმული მილიონობით ადამიანი უზრუნველყოფილი იყოს ფიზიკური ვარჯიშების სასარგებლო მოქმედებით და თავიდან იქნეს აცილებული ადამიანის ორგანიზმზე მისი შესაძლო მავნე გავლენა. ამიტომ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ფიზიკურ კულტურაზე დაწესებულია სამედიცინო მეთვალყურეობა. ეს საშუალებას იძლევა სწორად გადავჭრათ ის ამოცანები, რომლებიც საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის წინაშე დგას.

შემდეგ ავტორებს მოჰყავთ ცნობები სამკურნალო მიზნით ფიზიკური ვარჯიშის გამოყენების შესახებ. მაგალითად, ფიზიკურ ვარჯიშებს სამკურნალო მიზნით ჩინეთში ჯერ კიდევ 3000 წლის წინათ იყენებდნენ, ხოლო ინდოეთში — XVIII საუკუნეში ჩვენს ერამდე. ამ საკითხს დიდ ყურადღებას უთმობდნენ ძველი დროის გამოჩენილი სპეციალისტები, რომლებიც ფიზიკურ ვარჯიშს თვლიდნენ სამკურნალო და პროფილაქტიკური მედიცინის აუცილებელ და სავალდებულო საშუალებად. შემდეგ გვერდებზე მოთხრობილია საბჭოთა სამკურნალო ფიზკულტურაზე, მის განვითარებაზე.

წიგნში ცალკე თავები აქვს დათმობილი ისეთ საინტერესო საკითხებს, როგორიცაა ფიზკულტურის მნიშვნელობა ადამიანის აღზრდის საქმეში; მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შეხედულებანი ფიზიკური აღზრდის საკითხებზე; სტარტისწინა, სასტარტო და სტარტისშემდეგი მდგომარეობა, დაღლა, დაძაბვა, გადაწვრთნა; სპორტსმენის ყოფაცხოვრების რეჟიმისა და პირადი ჰიგიენის დაცვის მნიშვნელობა წვრთნის პროცესში; ორგანიზმის გამოწრთობის მნიშვნელობა და მისი ჰიგიენური საფუძვლები; საექიმო კონტროლი ფიზკულტურაზე; სპორტულ დაზიანებათა გამომწვევი მიზეზები და მისი პროფილაქტიკა; სკოლის ექიმის როლი და მოვალეობა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში.

„საექიმო ფიზიკური კულტურის" ეს მეორე გამოცემა ავტორებს გამიზნული აქვთ, როგორც სახელმძღვანელო სტუდენტებისა და სამკურნალო ფიზკულტურის დარგის ექიმებისათვის, მაგრამ ეს წიგნი კარგ დახმარებას გაუწევს აგრეთვე ყოველ ფიზკულტურულ მუშაკს, ყოველ რიგით ფიზკულტურელს.

ი. გავაშელი

მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს

მსაჯობა სპორტულ ტანვარჯიშში მეტად რთული საქმეა. ტანმოვარჯიშე 20–30 წამის განმავლობაში ასრულებს 10–12 სხვადასხვა ილეთს, ხოლო მსაჯმა უნდა მოასწროს დაშვებული შეცდომების, შესრულების ტექნიკის, კომპოზიციური მთლიანობის, ვარჯიშის სისწორისა და ა. შ. შეფასება. ყველაფერი ეს მსაჯისაგან მოითხოვს მაღალ თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას.

ჩვენს რესპუბლიკაში მრავლად არიან მაღალი კვალიფიკაციის მსაჯები. საკმარისია ითქვას, რომ თბილისში ირიცხება საკავშირო კატეგორიის 16 მსაჯი. ერთის შეხედვით, მსაჯობის საკითხი ჩვენში მაღალ დონეზე უნდა იყოს დაყენებული, მაგრამ სინამდვილეში ტანვარჯიშული შეჯიბრებების მომსახურება თბილისში დაბალ დონეზე დგას და, შეიძლება ითქვას, რომ უარესობისაკენ მიდის.

ძლიერ გახშირდა შემთხვევები, როცა ტანმოვარჯიშეები, მწვრთნელები და მაყურებლები უკმაყოფილონი არიან მსაჯობის ხარისხით. ამის მიზეზი საკმაოდ მრავალია. ისინი, ვინც კარგად იციან მსაჯობა და მაღალი კატეგორია აქვთ, თავს არიდებენ მსაჯობას ე. წ. „ადგილობრივი მასშტაბის" შეჯიბრებებს. მაგალითად, გასული წლის სექტემბრიდან დღევანდლამდე საკავშირო კატეგორიის არც ერთ მსაჯს არ მიუღია მონაწილეობა შეჯიბრებებში, ხოლო რესპუბლიკური კატეგორიის 38 მსაჯიდან 5–6 კაცის მეტს არ უმსაჯია, ისიც უპირატესად მთავარ მსაჯად ან მის მოადგილედ.

ტანვარჯიშულ იარაღებთან მსაჯთა როლში ძირითადად სხედან III–II და ნაწილობრივ I კატეგორიის მსაჯები. ძირითადად მათი მომსახურებით ტარდება შეჯიბრებები პირველთანრიგოსანთა და ოსტატთა მონაწილეობით, რაც წესების თანახმად დაუშვებელია.

იმაში, რომ თბილისში ასე სავალალოდ დგას ტანვარჯიშის მსაჯობის საკითხი, პირველ ყოვლისა დამნაშავენი არიან მსაჯთა საქალაქო კოლეგია და სექციის პრეზიდიუმი. მსაჯები არ გრძნობენ არავითარ პასუხისმგებლობას, წლების განმავლობაში არც ერთი მსაჯის მიმართ არ ყოფილა მიღებული ზომები და ამიტომაა, რომ სიით აღრიცხვაზე მყოფი 200 მსაჯიდან შეჯიბრებაზე ჭირს 20–25 კაცის შეგროვებაც კი. რამდენი ხანია სამსაჯო მაგიდასთან არ გვინახავს რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯები ნ. ბახუტაშვილი, მ. მჭედლიშვილი, შ. სამადაშვილი, ო. ქორქია და სხვანი. გარდა ამისა, მსაჯობას თავს არიდებენ მწვრთნელები, ამჟამად მოქმედი ოსტატები, რომლებსაც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ ამ მეტად საჭირო საქმეში.

მსაჯთა ახალმა საქალაქო კოლეგიამ და სექციის პრეზიდიუმმა განიხილეს საკითხი არსებული მდგომარეობის შესახებ და დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი.

დაზუსტდა მსაჯთა სიები, მალე ჩატარდება მოსამზადებელი სემინარები, რის შემდეგ იწარმოებს მსაჯთა ახალი კლასიფიკაცია, შეჯიბრებებზე გამოყოფილ იქნება სპეციალური გამსინჯავი კომისიები თვითეული მსაჯის შესამოწმებლად და ა. შ.

ტანვარჯიშულ შეჯიბრებათა მომსახურების საქმე თბილისში აყვანილ უნდა იქნას მაღალ დონეზე.

გ. ყირმელაშვილი,
სპორტის ოსტატი.

მოძმე რესპუბლიკებში

სპორტული ლექსიკონი

„კოლტნტესაკანის" („კოლმეურნე") ცენტრალურმა საბჭომ მასობრივი ტირაჟით გამოსცა რუსულ-სომხური სპორტული ლექსიკონი. ავტორ-შემდგენელს ს. აკოპიანს წიგნში შეუტანია 5.000-მდე სპორტული ტერმინი, მოძმე რესპუბლიკების ნაციონალური თამაშების და სპორტინვენტარის სახელწოდებანი.

ლექსიკონმა ფართო პოპულარობა მოიპოვა სომხეთის ფიზკულტურელებში.

კოლმეურნეთა კვირაობა

ყირიმის ოლქის საკის რაიონის კოლმეურნეობის „გზა კომუნიზმისაკენ" ახალგაზრდებმა ღია კომკავშირულ კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება მოაწყონ კვირაობები და გამომუშავებული თანხით შეიძინონ სპორტინვენტარი. დადგენილების პასუხად კოლმეურნე ახალგაზრდებმა პირველსავე კვირაობაზე დარგეს ათასობით ვაზი, გამოიმუშავეს ათას მანეთზე მეტი და საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივისათვის შეიძინეს სპორტინვენტარი კრივისა და სპორტთამაშებისათვის.

საკუთარი ძალებით

ხარკოვის შრომითი რეზერვების ტექნიკუმის ეზოში დამთავრდა სპორტული პავილიონის მშენებლობა, რომლის ავტორია ტექნიკუმის კურსდამთავრებული ვ. კარპენკო. შენობის პროექტი იყო მისი სადიპლომო ნაშრომი. მშენებლობაზე ყველა სამუშაო საკუთარი ძალებით შეასრულეს მოსწავლეებმა.

სტუდენტები პრაქტიკაზე

კიროვაბადის (აზერბაიჯანის სსრ) ფიზკულტურის ტექნიკუმის სტუდენტებმა წარმატებით დაამთავრეს პედაგოგიური პრაქტიკა სკოლებში. ფიზაღზრდის მომავალი სპეციალისტები დამოუკიდებლად ატარებდნენ გაკვეთილებს, ხელმძღვანელობდნენ მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ფრენბურთისა და კალათბურთის სექციების მუშაობას. გაკვეთილების ჩატარების გარდა სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ კლასგარეშე მუშაობაში. მათი დახმარებით მთელ რიგ სკოლებში შეიქმნა ახალი სექციები, შეკეთდა სპორტული ბაზები.

მოსწავლეთა არდადეგების დღეებში სტუდენტი პრაქტიკანტები აქტიურად მონაწილეობდნენ მოსწავლეთა ორგანიზებულ დასვენებაში, ეხმარებოდნენ მათ მშთ ნორმების ჩაბარებაში, აწყობდნენ სპორტულ საღამოებს, ექსკურსიებს, ლექციებს და სხვ.

ჭაბუკი სტალინირიდან

ამ სტალინირელმა ჭაბუკმა მეტად თავისებურად დაიწყო კრივის შესწავლა — ფანჯრიდან. როცა 1949 წლის ზამთარში მუშაობა დაიწყო კრივის სექციამ, ამ მახლობელი უბნის ბიჭუნები ბუზებივით იყვნენ მიკრული სპორტდარბაზის ფანჯრებთან. დარბაზში მათ არ უშვებდნენ, მაგრამ ზაურ კოზაევი და სხვანი მონუსხულებივით შესცქეროდნენ ჭერზე ჩამოკიდებულ საოცარ ბურთებსა და ტომრებს. შემდეგ ისინი ცდილობდნენ ზუსტად გაემეორებინათ ყველაფერი ის, რასაც მწვრთნელი აჩვენებდა მოკრივეებს დარბაზში.

გაზაფხულისათვის ბიჭებმა უკვე კარგად იცოდნენ, რომ ზაურთან ჩხუბი არ ღირდა, იმიტომ, რომ იგი მარცხენა ხელით უფრო ძლიერად ურტყამდა, ვიდრე მარჯვენათი, არავის არასდროს არ უთმობდა და საშინელი გულის მოსვლაც იცოდა.

ნამდვილ რინგზე ზაურ კოზაევი პირველად 1951 წელს გამოვიდა. საматჩო შეხვედრის ჩასატარებლად სტალინირში ჩამოვიდნენ რუსთავის, თელავისა და ჭიათურის გუნდები. მოულოდნელად ავად გახდა უმჩატესი წონის სტალინირელი მოკრივე და მწვრთნელი იძულებული იყო ამ წონაში გამოეყვანა ახალი მოკრივე. ამ ბრძოლიდან ზაურს ის ახსოვს, რომ მთელი დარბაზი იცინოდა, როცა მან მოწინააღმდეგის ხელის ჩამორთმევის შემდეგ ხტუნვით შემოუარა მას გარშემო, როგორც ეს ქართულ ჭიდაობაში იციან ხოლმე. თვით ბრძოლა და წაგება მას არ ახსოვს, მაგრამ ამის შემდეგ კოზაევი ნამდვილად შეუდგა წვრთნას. მწვრთნელმა დ. დადიანმა შეამჩნია ის [illegible] და ტემპერამენტი, რომელიც ჭაბუკს ჰქონდა, ამიტომ იგი ცდილობდა თავისი აღსაზრდელისათვის სწორედ ის სტილი შთაენერგა, რომელიც მის ბუნებას შეეფერებოდა.

მოკრივის სპორტული ოსტატობა თანდათან იზრდებოდა. 1953 წელს სპორტსაზოგადოება „ისკრის" საკავშირო პირველობაზე კოზაევი ნახევარფინალში შეხვდა გამოცდილ მოკრივეს, სპორტის ოსტატ ბულანოვს. აქ მან პირველად იგრძნო, თუ რა მონაცემები ჰქონდა და აქვე მიიღო პირველი გაკვეთილი. მას ისე უნდოდა გაემარჯვა, რომ გონგის ხმაზე პირდაპირ გაეშურა შეტევაზე. ოსტატმა კარგად დაიცვა თავი და დარტყმების სერიით უპასუხა. ეს გამეორდა რამდენიმეჯერ და მიუხედავად იმისა, რომ კოზაევის დარტყმების უმრავლესობა მიზანს ვერ აღწევდა, იგი განაგრძობდა შეტევას და არ ცილდებოდა მოწინააღმდეგეს. კოზაევმა იგრძნო, რომ დაიღალა, მაგრამ მეორე რაუნდიც იმავე სტილში ჩაატარა. ბულანოვს თანდათან უჭირდა ბრძოლა, მისი დარტყმები უკვე აღარ იყო ისეთი ზუსტი, როგორც დასაწყისში. მესამე რაუნდი არაფრით არ განსხვავდებოდა პირველი ორისაგან — ზაური განუწყვეტლივ მიიწევდა წინ, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა მეტოქეს.

ბრძოლის შემდეგ ბულანოვი გაოცებული ამბობდა: ეს რა ადამიანია, ურტყამ, ურტყამ, ის კი არ გცილდება.

ეს ძნელი გამარჯვება იყო, მაგრამ კოზაევს პირველი ადგილის ბედი გადაწყვეტილად მიაჩნდა — ფინალში იგი უნდა შეხვედროდა პირველთანრიგოსან მოკრივეს, სპორტის ოსტატთან გამარჯვების შემდეგ კი პირველთანრიგის მოკრივე მას სულ უბრალო მეტოქედ ეჩვენებოდა.

მაგრამ ეს პირველთანრიგოსანი დინჯი და მოფიქრებული მოკრივე აღმოჩნდა. მაღალი ტანისა, გრძელი ხელებით იგი მოხერხებულად იცდენდა კოზაევის იერიშებს, ახლოს არ უშვებდა მას და გაიმარჯვა კიდეც.

დღეები მიდიოდა გულმოდგინე წვრთნაში, კოზაევი სწავლას შეუდგა ფიზკულტურის ტექნიკუმში. 1955 წელს კოზაევმა მოიპოვა თბილისის ჩემპიონობა, ხოლო მომდევნო წელს საქართველოს სსრ სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა.

მიმდინარე წელს ზაურ კოზაევმა კვლავ ცხადყო თავისი მაღალი მომზადება და მეორედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა პირველი ქვესაშუალო წონის მოკრივეთა შორის.

რ. კოჩიევი.

• • •

სურათზე: ზ. კოზაევი (მარჯვნიდან მეორე) მორიგ მეცადინეობაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ვინ მოიპოვებს ოქროს მედალს?

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). XIII ტურის შემდეგ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. როდესაც მსაჯებმა გახსნეს კლამან-ხოლმოვის გადადებული პარტიის კონვერტი და კლამანმა ნახა ხოლმოვის ჩაწერილი სვლა, იგი მაშინვე დანებდა. ასევე მოიქცა ტარასოვიც კერესთან. გაუთამაშებლად ყაიმზე შეთანხმდნენ ტალი-ფურმანი და ტარასოვ-კლამანი.

ბრონშტეინს ბოლესლავსკისთან მცირე პოზიციური უპირატესობა ჰქონდა. ამიტომ იგი მოთმინებით შეუდგა მის რეალიზაციას. ბოლესლავსკი ტაქტიკური მუქარებით ხელს უშლიდა მოწინააღმდეგის აწყობილ თამაშს. იმის გამო, რომ ბრონშტეინმა მთელი საღამო ითამაშა და ვერაფრით შეძლო პოზიციის გაძლიერება, მან 88-ე სვლაზე მიიღო შეთავაზებული ყაიმი. ამის გამო კვლავ დაუმთავრებელი დარჩა ბოლესლავსკ-ტალის პარტია. არონსონს პეტროსიანთან პაიკი აკლდა. გროსმაისტერმა მეთოდურად აამოძრავა ეს ზედმეტი გამვლელი პაიკი. 68-ე სვლაზე, როდესაც პაიკი ლაზიერში გადიოდა, არონსონმა შეწყვიტა წინააღმდეგობა. სულ თორმეტი სვლა გაკეთდა ხოლმოვ-სტოლიარის პარტიაში, რომლის შემდეგ სტოლიარმა უიმედოთ ცნო თამაში გაგრძელება და დანებდა.

დიდ გაწამაწიაში იყო ბანიკა, რომელსაც სპასკისთან ორი პაიკი აკლდა. მოქნილი თამაშით მან პოზიციურად გაათანაბრა გროსმაისტერის უპირატესობა და დამსახურებულ ყაიმს მიაღწია. პარტიის შემდეგ ბანიკამ თქვა: მართალია, ტურნირში არც ერთი პარტია არ მომიგია, სამაგიეროდ არც ერთ გროსმაისტერთან არ დავმარცხებულვარო.

უიმედო იყო ტოლუშის წინააღმდეგობა სტოლიართან. 55-ე სვლაზე იგი დანებდა. არონინ-გურგენიძის პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

XIV ტურში პეტროსიან-ბრონშტეინისა და ბოლესლავსკ-ბანიკას შეხვედრების ყაიმით დამთავრების შემდეგ, საერთო ყურადღება მიიქცია ძველი საჭადრაკო მეგობრების კერეს-ტოლუშის პარტიამ. სიცილიურ დაცვაში ტოლუშმა მიიღო კერესის მიერ დამუშავებული ვარიანტი პაიკის შეწირვით. კერესმა ჭაბუკური მოქნილობით მე-20 სვლაზე ხარისხი შეწირა, შემდეგ ეტლით და ყველა ფიგურით თავს დაესხა ტოლუშის მეფეს, რომელმაც მეორე ფრთაზე გაქცევით უშველა თავს. მაგრამ მან ვერ მიაღწია სამშვიდობოს — დაშამათების მუქარის გამო გზაში დაჰყარა [illegible]. [illegible] აღინიშნოს, რომ ამ პარტიის დებიუტს დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს.

შესანიშნავად თამაშობდა გურგენიძე ტარასოვთან. ძველინდურ დაცვაში მან ზემიშის სისტემა გაითამაშა და მიუხედავად ლაზიერების ნაადრევი (მე-10 სვლაზე) გაცვლისა შეუტია მოწინააღმდეგეს. მან შებოჭა ტარასოვის ფიგურები და ახლო იყო გამარჯვებასთან. მაგრამ მოხვდა ცაიტნოტში და ორი პაიკი დაკარგა. პარტია არ დამთავრებულა და გადადებულია გურგენიძის პოზიციური უპირატესობით. კლამანმა უკვე 30-ე სვლაზე მოუგო არონსონს. საეჭვო ექსპერიმენტი გამოიყენა ნეიმეტდინოვმა ხასინთან პარტიაში. ჩინებული თამაშით ხასინმა 29-ე სვლაზე გაიმარჯვა.

დანარჩენ პარტიები გადაიდო. ტალს სტოლიართან ყაიმი აქვს საძებნილი, ხოლო საყაიმო სიტუაციაა ფურმან-კორჩნოისა და სპასკი-ანტოშინის პარტიებში. მიკენასს ტაიმანოვთან ზედმეტი პაიკი აქვს. არონინ-ხოლმოვის პარტია არ შედგა.

XIV ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო პ. კერესმა, რომელსაც 9 ქულა აქვს, მას ყველაზე ახლოს მიჰყვება რ. ხოლმოვი (8,5 ქულა და ერთი გამოტოვებული პარტია), დ. ბრონშტეინს, ა. ტოლუშსა და ტ. პეტროსიანს 8,5-8,5 ქულა აქვთ.

თბილისელ ფრენბურთელთა გამარჯვება

სოხუმის „სპარტაკის" დარბაზში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა 1957 წლის ზამთრის რესპუბლიკური შეჯიბრება ფრენბურთში. მონაწილეობდნენ აჭარის, აფხაზეთის, თბილისის, ქუთაისის, გორისა და რუსთავის ქალთა და ვაჟთა უძლიერესი გუნდები. შეჯიბრება ტარდებოდა წრიული სისტემით.

ვაჟთა შორის ყველაზე მომზადებული გამოდგა თბილისის „ბურევესტნიკის" ფრენბურთელთა კოლექტივი, რომელმაც მთელი შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარა და დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი. მეორე ადგილი წილად ხვდა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდს, ხოლო მესამე — აფხაზეთის ნაკრებ კოლექტივს.

ქალთა გუნდებს შორის პირველი ადგილის პრეტენდენტები იყვნენ თბილისის „ლოკომოტივი" და „ბურევესტნიკი", აფხაზეთისა და აჭარის ნაკრები გუნდები. აფხაზეთის გუნდმა დაამარცხა „ლოკომოტივი" და აჭარის ნაკრები, თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდმაც მოუგო შეხვედრა ამ კოლექტივებს. საინტერესოდ წარიმართა თბილისის და აფხაზეთის სპორტსმენთა გადამწყვეტი შეხვედრა, რომელიც მოიგო „ბურევესტნიკმა" 3:2. ამრიგად, ქალთა ტურნირში პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისის „ბურევესტნიკი", მეორე ადგილი მიეკუთვნა აფხაზეთის ხოლო მესამე — აჭარის კოლექტივს.

შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ შეხვედრათა ჩატარების ორგანიზაცია არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. ასე მაგალითად, მსაჯები და მათ შორის მთავარი მსაჯიც მატჩებზე ცხადდებოდნენ არა სპორტულ ფორმაში. ცუდად იყო დაყენებული მაყურებელთა რადიოინფორმირების საქმეც.

ჯ. ანთია.

სურათზე: აფხაზეთის და აჭარის ვაჟთა გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო ს. ყელტიკოვისა.

რესპუბლიკურ კომიტეტში

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა გასული წლის დამლევს შეისწავლა და თავის სხდომაზე განიხილა „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს მიერ 1956 წლის განმავლობაში ჩატარებული მასობრივ-ორგანიზაციული და სასწავლო-სპორტული მუშაობა.

აღნიშნულ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა „ბურევესტნიკის" ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების რაოდენობა, მოეწყო 21 შეჯიბრება რესპუბლიკური საბჭოს პირველობაზე. ბურევესტნიკელებმა მონაწილეობა მიიღეს 15 საქალაქო ღონისძიებაში, რესპუბლიკურ 10 ჩემპიონატსა და „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს 16 პირველობაში. ფარიკაობაში, ჩოგბურთსა და თავისუფალ ჭიდაობაში საკავშირო მასშტაბით ჩემპიონობა მოიპოვეს ჭაბუკთა შორის. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 5 საერთაშორისო შეხვედრაში, ხოლო 103 სპორტსმენი იცავდა რესპუბლიკის ღირსებას ხალხთა სპარტაკიადაზე. დამაკმაყოფილებლად მუშაობს ბავშვთა სპორტული სკოლა.

მიღწევებთან ერთად „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოს გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებები. ეს პირველ რიგში ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების შესახებ ითქმის. 10 დეკემბრისათვის მათ I საფეხურზე ნიშნოსნების მომზადების გეგმა შესრულებული ჰქონდათ 70 პროცენტით, II საფეხურისა — 64 პროცენტით, სპორტის ოსტატების მომზადებისა—92 პროცენტით. პირველთანრიგოსნებისა — 33 პროცენტით.

თბილისის საგალანტერეო ფაბრიკის (ძირეული საბჭოს თავმჯდომარე გრიგორიანი, დირექტორი — კაფარენკო) 200 მუშა-მოსამსახურიდან არც ერთი არაა „ბურევესტნიკის" წევრი, ხოლო მექანიკური ქარხნის (ძირეული საბჭოს თავმჯდომარე შახნაზაროვი, დირექტორი — ჯაფარიძე) 420 მუშა-მოსამსახურიდან სპორტსაზოგადოების წევრია 130. ანალოგიური მდგომარეობაა სატრიკოტაჟო-საგალანტერეო ფაბრიკის, ავტოშემკეთებელი ქარხნისა და სხვა ორგანიზაციებში.

რესპუბლიკურ საბჭოს სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია სასწავლო-სპორტულ მუშაობაში. კალენდრით გათვალისწინებული სპორტღონისძიებებიდან შესრულებულია მხოლოდ 80 პროცენტი. ყურადღება არ ექცევა სპორტის ისეთი სახეობების განვითარებას, როგორიცაა თანამედროვე ხუთჭიდი, სასტენდო და ტყვიის სროლა. სუსტად მუშაობენ კრივის სექციები. სუსტი კავშირი აქვთ უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრებთან. არ ეხმარებათ მათ მატერიალურად, მაშინ, როცა უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობაში არ სრულდება სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადების გეგმები. ასეა ზოოვეტერინარულ, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

ყველაფერი რიგზე არც რესპუბლიკური საბჭოს აპარატშია. ფუნქციები თანამშრომელთა შორის არასათანადოდაა განაწილებული. არ ჰყავთ პასუხისმგებელი კადრებთან და საორგანიზაციო მუშაობაში. სუსტად მუშაობენ საზოგადოებრივი სექციები.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს (თავმჯდომარე გ. პაიჭაძე) დაავალა: შემოწმების შედეგები განიხილოს პრეზიდიუმის სხდომაზე და დასახოს სათანადო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის გააძლიეროს მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა ძირეულ კოლექტივებში, მეტი კონტროლი და დახმარება გაუწიოს საოლქო და საქალაქო საბჭოებს, გადასინჯოს დავალებათა განაწილება რესპუბლიკური საბჭოს აპარატში, სპორტსაზოგადოებათა შტატი გამოიყენოს დანიშნულების მიხედვით, გააუმჯობესოს საზოგადოებრივი სექციების მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კრივის, მძლეოსნობის, ცურვის, ტანვარჯიშის, სროლის, ძალოსნობისა და ველოსპორტის სექციების მუშაობას. სპორტკალენდარში გაითვალისწინოს შეჯიბრებები ძირეულ კოლექტივებს, აგრეთვე რაიონულ და საქალაქო საბჭოებს შორის, სისტემატური სასწავლო-სპორტული მუშაობა აწარმოოს ნაკრები გუნდების სპორტსმენებთან, მწვრთნელებსა და სპორტსმენებს მისცეს პერსონალური დავალებანი და დააწესოს კონტროლი მათ შესრულებაზე, მიიღოს გადამჭრელი ზომები თბილისში არსებულ ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობისათვის. მიაღწიოს იმას, რომ ფაბრიკა-ქარხნებთან მოეწყოს მარტივი ტიპის სპორტული ბაზები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპელეოლოგიური სპორტის განვითარებისათვის

სპელეოლოგია ანუ მღვიმეთმცოდნეობა ახალგაზრდა დარგია, რომელიც თანაბრად ეკუთვნის სპორტსაც და მეცნიერებასაც. ამ ბოლო ხანებში მღვიმეების ანუ გამოქვაბულების — თავისებური სილამაზით შემკული მიწისქვეშეთის — საბჭოელმა მოყვარულებმა ორი კარგი საჩუქარი მიიღეს: მოსკოვში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დაარსებულია სპელეოლოგიის ლაბორატორია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ამ დარგის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში და მეორეც — გამოვიდა ცნობილი ფრანგი სპელეოლოგის ნორბერტ კასტერეს შესანიშნავი წიგნის რუსული თარგმანი.

რით არის საინტერესო მარად ბნელი მღვიმეები, რას ისახავენ მიზნად სპელეოლოგები, როგორ პირობებში უხდებათ მათ მიწისქვეშა სამყაროს კვლევა და რა შედეგებს იძლევა ეს უკანასკნელი?

მსოფლიოს უდიდესი მღვიმეები გაჩენილია წყლის ქიმიური მოქმედებით ისეთ ქანებზე (მაგალითად, კირქვებზე), რომლებიც ადვილად იხსნება წყალში. საუკუნეთა განმავლობაში წყლის ნაკადები ჰქმნიან დედამიწის ქერქის სიღრმეში ვრცელ სიღრუვეთა სისტემებს — გვირაბების ქსელს გაფართოებულ ნაწილებით ანუ დარბაზებით. თავისებურია სანახაობა, რომელიც კაცს თვალწინ წარმოუდგება ასეთ მღვიმეებში. დარბაზები და გვირაბები მორთულია ხოლმე კალციტის ან ყინულის ნალვენთი ფორმებით: ჭერიდან ჩამოკიდებული სტალაქტიტებით, იატაკიდან ამართული სტალაგმიტებით, სვეტებით, ფარდებით და ა. შ. გვირაბები ხშირად განლაგებულია რამდენიმე სართულად და ერთი-მეორესთან ბუნებრივი ჭებითაა შეერთებული. მიწისქვეშეთს თავისი წყალთა სისტემაც აქვს: გვირაბებში გაედინებიან ანკარა მდინარეები, რომლებიც აქა-იქ ტბებს და ჩანჩქერებს ჰქმნიან.

სიბნელის მიუხედავად, მღვიმეები დასახლებულია ცხოველთა სხვადასხვა სახეობებით. ამ უკანასკნელთა შორის განასხვავებენ ორ ჯგუფს. ერთ ჯგუფს შეადგენენ ისეთი ცხოველები, რომლებიც მღვიმეებს თავშესაფრად იყენებენ მხოლოდ, და პერიოდულად სტოვებენ მათ — მაგალითად, ღამურები, ზოგიერთი ფრინველი, მაჩვი, მელა და სხვ. მეორე ჯგუფში შედიან ნამდვილი მღვიმური ფაუნის წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ მთელ ცხოვრებას მიწისქვეშეთში ატარებენ. მუდმივ წყვდიადში არსებობის შედეგად ამ ცხოველებს განსაკუთრებული თვისებები გამოუმუშავებიათ: ისინი უფერულნი არიან; მხედველობა და ზოგჯერ თვით თვალებიც მათ არ გააჩნიათ; თვალების მაგივრობას მათ ფრიად განვითარებული შეხების ორგანოები უწევენ. აღსანიშნავია ამ ცხოველთა შორის სალამანდრის განსაკუთრებული სახე — უთვალო და თითქმის უფეხო პროტეუსი, რომელიც იუგოსლავიის მღვიმეებში ცხოვრობს, ბრმა თევზები, ბრმა ვირთაგვა და აგრეთვე უფრო დაბალი კლასების წარმომადგენლები.

ძველად მღვიმეებში სიცოცხლე კიდევ უფრო მრავალფეროვანი იყო, რამდენადაც აქ თავს აფარებდნენ მსხვილი ნადირი და თვით პირველყოფილი ადამიანიც. მღვიმეებში ცხოვრობდნენ მტაცებლები — მღვიმური დათვი, ლომი, აფთარი. ბუნებრივი ჭები წარმოადგენდნენ ხაფანგებს, რომლებშიც ცვივოდნენ და იღუპებოდნენ ცხოველები, უმთავრესად კი დათვები; ცნობილია, მრავალი მღვიმე, რომლებიც დათვების ნამდვილ სასაფლაოებს წარმოადგენენ, დათვის ჩონჩხთა რაოდენობა ზოგიერთ მათგანში ასობითაა.

ადამიანი მღვიმეებში ცხოვრობდა ქ. წ. პალეოლითურ ხანაში, ანუ ძველი ქვის ხანაში, რომელიც მოიცავს მეოთხეული პერიოდის უმეტეს ნაწილს. საუკუნეთა განმავლობაში მღვიმეების ფსკერზე გროვდებოდა დიდძალი ნაგავი — ადამიანის მიერ შეჭმული ნადირების ძვლები, მისი საწარმოო იარაღები და მათი ნამსხვრევები, ნახშირი, ნაცარი, სამკაულები და ა. შ. ჭერიდან ჩამონაცვენ და ჩამონაწვეთ მინერალურ მასალასთან აზელილი ეს ნაგავი ჰქმნიდა ქ. წ. კულტურულ ნაფენებს, რომელთა გათხრებითაც ესოდენ დაინტერესებულია არქეოლოგია.

არა ნაკლებ საყურადღებოა მღვიმეების კედლებზე შემორჩენილი, ხშირად ნალვენთებით დაფარული პალეოლითური ხელოვნების ნაშთები — ნახატები და ბარელიეფები, ხოლო იშვიათად ქანდაკებებიც, რომლებიც გამოსახავენ ველურ ცხოველებს — გარეულ ხარებს, ირმებს, გარეულ ცხენებს, მღვიმურ დათვებს და ა. შ. გამორკვეულია, რომ პირველყოფილი ადამიანი მხატვრობას მისდევდა არა გულის გადასაყოლებლად, როგორც უწინ ეგონათ, არამედ ჯადოქრობის (მაგიის) მიზნით. ხატავდა და ქანდაკებდა რა მღვიმეების ბნელ, საიდუმლოებით მოცულ ნაწილებში სხვადასხვა ნადირს, და ასრულებდა რა მათ მიმართ ჯადოქრულ ცერემონიებს, ჩვენი წინაპარი დარწმუნებული იყო, რომ ჯადოს დახმარებით იგი გაიმარჯვებდა მტაცებლებზე (მღვიმეებში ბატონობისათვის ბრძოლაში) და წარმატებით ინადირებდა სხვა ცხოველებზე, საკვების მოსაპოვებლად.

სპელეოლოგიურ კვლევას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ისეთ მოწინავე სახელმწიფოებში, რომელთა ტერიტორიაც კარსტული მოვლენების ასპარეზს წარმოადგენს — იუგოსლავიაში, პოლონეთში, უნგრეთში, იტალიაში, საფრანგეთში და ა. შ. ამგვარი კვლევის აუცილებლობა ნაკარნახევია როგორც თეორიული ამოცანებით (მაგალითად, მღვიმური ფაუნის ევოლუციის შესწავლით, არქეოლოგიური კვლევით და ა. შ.), ისევე პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნებითაც. განსაკუთრებით მჭიდრო კავშირშია კარსტული მღვიმეების კვლევა მიწისქვეშა წყლების გამოყენებასთან, ჰიდროენერგეტიკული და წყალმომარაგების მიზნით, რის შესანიშნავ ილუსტრაციასაც წარმოადგენს ფრანგი სპელეოლოგების ე. მარტელისა და ნ. კასტერეს მიერ გადაწყვეტილი სამეურნეო პრობლემები, დაკავშირებული აღნიშნულ დარგებთან.

საბჭოთა კავშირში მღვიმეთმცოდნეობას თავისი ისტორია აქვს. ფართოდ არის ცნობილი ურალისწინეთში მდებარე კუნგურის ყინულოვანი მღვიმე, საქართველოში მდებარე აბრსკილისა და სათაფლიის მღვიმეები; ყირიმის, შუა აზიის, ბაიკალისპირეთის კარსტული გამოქვაბულები. საბჭოთა სპელეოლოგიური კვლევა ამჟამად თავის საწყის სტადიაში იმყოფება. ჩვენი მღვიმეების შესწავლაში ჯერჯერობით თითქმის არ არის გამოყენებული თანამედროვე ტექნიკა, რომელიც მიწისქვეშეთის ძნელმისაწვდომ წიაღში შესვლის საშუალებას იძლევა. არავინ ჩასულა ყირიმის, კავკასიისა და სხვა ჩვენი კარსტული მხარეების მრავალრიცხოვანი ბუნებრივი შახტების სიღრმეში, როგორც ეს ევროპის სხვა ქვეყნებშია გაკეთებული.

საქართველოს ტერიტორია, რომლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილიც კარსტული მოვლენების და კერძოდ, მღვიმეების განვითარების თვალსაჩინო არეს წარმოადგენს, კარგა ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას სპელეოლოგიური თვალსაზრისით. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში შესანიშნავი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი აღწერდა ძევრის კარსტულ მღვიმეებს და ქვაციხის ვოკლუზებს იმერეთში და აღმოსავლეთ საქართველოს ხელოვნურ მღვიმეებს. თითქმის ერთი საუკუნით გვიან დასავლეთ საქართველოს მღვიმეები მოიხსენია შვეიცარელმა მოგზაურმა დიუბუა დე მონპერემ. ოქტომბრის რევოლუციამდე კარსტული მღვიმეების კვლევას ჩვენში აწარმოებდნენ ი. პანტიუხოვი, კ. სატუნინი, ა. შუგუროვი, რ. შმიდტი, სტ. კრუკოვსკი. 1903 წელს დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი მღვიმეები და ქართლში მდებარე უფლისციხის გამოქვაბული-ქალაქი ინახულა სპელეოლოგიის ფუძემდებელმა ე. მარტელმა.

შემდეგ ამ საინტერესო საქმით დაინტერესებული იყვნენ ალ. ჯანელიძე, ალ. ჯაფარიძე, ი. ბირშტეინი, დ. მშვენიერაძე, ა. სადოვსკი და სხვა მკვლევარები. გამოკვლეულ იქნა აბრსკილის, ხვამლის, სათაფლიის, შიომღვიმისა და სხვა მღვიმეები. სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა ამ საქმის მტკიცე საორგანიზაციო საფუძველზე დაყენება. სპელეოლოგიური კვლევის ცენტრის დაარსება ეცადეთ საქართველოს ალპურ კლუბთან, მაგრამ ცალკეული ენთუზიასტების მიერ ხალისიანად წამოწყებული მუშაობა, რომელიც საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა 1943-46 წწ. ომის დამთავრების შემდეგ შეწყდა. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში სპელეოლოგიური ორგანიზაცია ფაქტიურად არ არსებობს.

სპელეოლოგიური მუშაობის ცენტრის უქონლობა ისეთ ქვეყანაში, სადაც ამგვარი მუშაობის უმდიდრესი ასპარეზია გადაშლილი და სადაც მეურნეობის მთელი რიგი დარგები რეგულარულად მოითხოვს მღვიმეების ბუნებრივი თავისებურებებისათვის ანგარიშის გაწევას, შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს. საბჭოთა სპელეოლოგიის გეგმაზომიერი განვითარებისათვის სათანადო საფუძვლის შექმნა საქართველოში.

დასავლეთ საქართველოს რაიონებში, სადაც კარსტული მოვლენები ფართოდ არის გავრცელებული, სპელეოლოგია უნდა გადაიქცეს მასობრივ სპორტად, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის ფართო წრეებში სასარგებლო ფიზიკური და მორალური ჩვევების დანერგვას და დაეხმარება აღნიშნული რაიონების სამეურნეო განვითარებას. კირქვებით აგებულ რაიონებში სოფლის მეურნეობა, წყალმომარაგება, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა და ზოგიერთი სხვა დარგი მოითხოვს კარსტის წიაღის შესწავლას. შაორისა და ლაჯანურის ჰიდროსადგურების მშენებლობის გამოცდილება ცხადჰყოფს ასეთ აუცილებლობას. ამიტომაც, თბილისში სპელეოლოგიური ცენტრის დაარსებასთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით, ანალოგიური მუშაობა უნდა გაიშალოს ისეთ ქალაქებშიც, რომლებიც უშუალოდ სპელეოლოგიური კვლევის ობიექტებთან მდებარეობენ — ასეთებია სოხუმი, ზუგდიდი, ცხაკაია, ქუთაისი, ჭიათურა.

საქართველოს ყველა შესაძლებლობა აქვს გადაიქცეს სპელეოლოგიური სპორტისა და კვლევის მოწინავე რაიონად საბჭოეთში. ქართველმა მღვიმეთმცოდნეებმა თავისი წვლილი უნდა შეიტანონ მეცნიერების საგანძურში, გააადვილონ ჩვენი ბუნებრივი რესურსების მიზანშეწონილი გამოყენება.

ლ. მარუაშვილი.
გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი.

სურათზე: ქიათურის ახალი სტადიონის მშენებლობაზე.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

არაჩვეულებრივი ველოსიპედი

სწორ ასფალტირებულ გზაზე ველოსიპედი მიჰქრის. ერთი შეხედვით იგი არაფრით გამოირჩევა სხვა ველოსიპედებისაგან, მაგრამ თუ უკანა ბორბალს დააკვირდება კაცი, შეამჩნევს, რომ მასთან დაკავშირებულია რაღაც მრგვალი მექანიზმი. ეს მექანიზმი 20 მეტრის სიგრძის ზამბარას შეიცავს და პედლების ტრიალის დროს იგრიხება. როცა ველოსიპედისტი ერთ კილომეტრს გაივლის, შეუძლია დაისვენოს, შეჩეროს პედლების ტრიალი — დაგრეხილი ზამბარა ველოსიპედს 4 კილომეტრზე ატარებს. ამ დროს ველოსიპედი 25 კილომეტრს ავითარებს საათში.

ამბობენ, თითქოს ამ შესანიშნავ გამოგონებამდე კონსტრუქტორები საათის მომართვამ მიიყვანა. შეიძლება ასეც იყოს. ეს კი არის, რომ ზამბარიანი ველოსიპედი პირველად შოტლანდიაში დაამზადეს, სადაც სპორტის ეს სახეობა მეტად პოპულარულია.

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი... და სპორტი

საბჭოთა და საზღვარგარეთის მეცნიერები გაძლიერებულ მუშაობენ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შექმნაზე. გერმანელი მეცნიერის კალეს გამოანგარიშებით, ამჟამად მარტო დასავლეთში დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის 80-ზე მეტი კონკრეტული პროექტი არსებობს 5 ათასი სხვადასხვა ვარიანტით. რა კავშირი აქვს ამ შესანიშნავი პროექტების განხორციელებას სპორტთან?

ბევრი ჩვენთაგანი მოუთმენლად მოელის სატელევიზიო გადაცემების დაწყებას სტადიონებიდან. მაგრამ ცნობილია, რომ ტელევიზორებით შორეულ გადაცემებს ვერ მივიღებთ, რადგან ტელეცენტრების მოქმედების რადიუსი მცირეა, ჯერ კიდევ არ შეიძლება თბილისში უშუალოდ მივიღოთ გადაცემები მოსკოვიდან, პრაღიდან, ლონდონიდან, რომიდან. ეს კი ძლიერ საწყენია, როცა ამ ქალაქებში საინტერესო სპორტული შეხვედრები ტარდება!

და აი, ის ადამიანები, რომლებიც თავგამოდებით მუშაობენ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შექმნაზე, პირდაპირ აცხადებენ: როცა ჩვენ ავუშვებთ დედამიწის თანამგზავრს, მაშინ სპორტის მოყვარულები ტელევიზორების ეკრანებზე დაინახავენ დედამიწის ყოველ კუთხეში გამართულ შეჯიბრებებს. თანამგზავრზე იქნება ორი ანტენა: მიმღები ანტენა მიიღებს ტელეგადაცემებს რომელიმე ქალაქიდან, ხოლო გადამცემი რადიოტალღებს მოჰფენს დედამიწის უზარმაზარ ტერიტორიას.

ყოველი მხრიდან

◆

სიზოვსკის ბურთები

საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატში 20 განვლილი ტურის შემდეგ „სნაიპერთა“ რიგებს მეთაურობს „რესინგის“ მოთამაშე სიზოვსკი, რომელმაც მოწინააღმდეგეთა კარში 25 ბურთი გაიტანა. მის ანგარიშზეა აგრეთვე სხვა ბურთებიც. არსებობს ასეთი ტრადიცია, რომ საერთაშორისო შეხვედრებში მოთამაშეს, რომელსაც ბურთი გააქვს ფინალურ სასტვენის მომენტში, თან მიაქვს იგი როგორც სუვენირი. უკანასკნელ შვიდ შეხვედრაში სიზოვსკის ერგო ოთხი ბურთი, მათ შორის მატჩებში საფრანგეთი–სსრკ. საფრანგეთი–უნგრეთი.

---

31 სანტიმეტრით ნაკლები

1924 წელს ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებით სიგრძეზე ხტომაში ყველაზე უკეთესი შედეგი უჩვენა ამერიკელმა რობერტ ლე-ჯანდრმა — 7.77 მ და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მაგრამ ამ შესანიშნავი შედეგის მფლობელი მხოლოდ ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა. საქმე იმაშია, რომ ლე-ჯანდრმა ეს შედეგი ხუთჭიდში მონაწილეობის დროს უჩვენა, სადაც მხოლოდ მესამე ადგილი მოიპოვა.

სიგრძეზე ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ზანგი მძლეოსანი ხუბარდი (აშშ), რომელმაც 31 სმ-ით ნაკლები შედეგი უჩვენა, ვიდრე ლე-ჯანდრმა.

რედაქტორი ი. უზულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომცემლის — 8-38-25.
პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. უე 01339